პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

1990
11 იანვარი
ხუთშაბათი

№5 (6232)
ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райко ма КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საიმედო საფუძველი მოვუმზადოთ მიმდინარე წლის მოსავალს

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

## პასუხსაგები დრო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ცხოვრებაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 1989 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შეჯამებისა და კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა მეთორმეტე ხუთწლედის მეოთხე წელს გასწიეს მნიშვნელოვანი მუშაობა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო დაკვეთის საგეგმო დავალებების შესასრულებლად. ბევრმა მათგანმა წარმატებით გაართვა კიდეც თავი გეგმების შესრულებას.

ამასთან ერთად ზოგიერთ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სამეურნეობათშორის საწარმოსა (ორგანიზაციაში) და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში არასაკმარისად იყენებენ არსებულ საწარმოო-ეკონომიკურ პოტენციალს, ჯერ კიდევ მცირე ყურადღება ექცევა ინტენსიური ტექნოლოგიის, სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური და ოჯახური იჯარის დანერგვას, რაც აფერხებს მეურნეობათა გადასვლას თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები არასრულყოფილად იყენებენ ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის შესახებ დადგენილებით მინიჭებულ ფართო უფლებებს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათშორის საწარმოებში (ორგანიზაციებში) საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მშრომელთა კრებების მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტს, რაიონების (ქალაქების) აგროსამრეწველო გაერთიანებებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათშორის საწარმოებს, საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს—მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების მომზადებულად და მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარების საქმეში.

საჭიროა ყოველმხრივ გაანალიზდეს სუსტი და დაბალრენტაბელური მეურნეობების ჩამორჩენის მიზეზები და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდება და თვითღირებულების შემცირება, მთავარი ყურადღება დაეთმოს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი პროგრესული ფორმების, ბრიგადული და ოჯახური იჯარის, შიდასამეურნეო ანგარიშის მეთოდების დანერგვას, გაძლიერდეს ბრძოლა არამეურნეობრიობისა და არამწარმოებლური ხარჯების აღმოსაფხვრელად, სოციალისტური საკუთრების დასაცავად.

1990 წლის 1 თებერვლამდე უნდა შედგეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისი საწარმოების (ორგანიზაციების) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით წლიური ანგარიშები, ხოლო 10 თებერვლამდე მოეწყოს მათი განხილვა საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაევალათ დაამტკიცონ 1990 წლის 15 იანვრამდე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების, კოლმეურნეთა და სამეურნეობათშორისი საწარმოთა (ორგანიზაციათა) კოლექტივების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების გეგმა-გრაფიკი, პასუხისმგებელ პირთა სია და წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში 1990 წლის 20 იანვრამდე; 1990 წლის 15 თებერვლამდე დაამთავრონ ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათშორისი საწარმოს (ორგანიზაციის) წლიური ანგარიშების განხილვა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს სხდომაზე და უზრუნველყონ მათი წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში;

1990 წლის 25 თებერვლამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათშორისი საწარმოების (ორგანიზაციების) ნაერთი ანგარიშები, საბჭოთა მეურნეობებისა

(დასასრული მე-2-გვ.)

### მოწინავეთა გალერეა

## სოფელს ქომაგად უდგას

გასულ წელს ტვიშის სასოფლო კლუბში კოლმეურნეობის საანგარიშო კრება მიმდინარეობდა, კრებაზე იყვნენ ისეთები, უხალისოდ რომ გრძნობდნენ თავს, რადგან სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდათ.

კრების მონაწილეთა შორის იყო კაცი, რომელსაც დამსახურებულ სიამაყეს გვრიდა საანგარიშო პერიოდში გაწეული შრომა და ბუნებრივია, წლის ბოლოს მიღებული შედეგიც, რამაც საშუალება მისცა პირნათლად მოეხადა ვალი კოლმეურნეობის წინაშე და ოჯახიც ბარაქით აევსო.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. წლევანდელი შედეგით დაინტერესებულებს ტვიშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე რ. ქვარიანი სოფლის შემართზე სწორედ მისი სახლისკენ მივიძღვის, აი, ქალაქური სტილით ნაგები კაპიტალური სახლის ჭიშკართად შევჩერდით. ეზოდან ბრგე და ვაჟკაცური შემართების კაცი შეგვეხმიანა, ჯერ ჭიშკარი, შემდეგ კი სახლის კარი გულღიად გაგვიღო ომისა და შრომის ვეტერანმა, დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენოსანმა, 70 წელს მიღწეულმა იორამ ჩაკვეტაძემ.

საკოლმეურნეო შრომის გამოცდილება ადრეულ წლებშიაც ჰქონდა, კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობდა, იყო მეცხოველეობის ფერმის გამგე, ერთხანს სოფლის სამრეწველო მაღაზიის გამგედაც იმუშავა. ომის ქარ-ცეცხლგამოვლილი, მეორე ჯგუფის ინვალიდია, მაგრამ შრომის გარეშე არც ერთი დღეც არ უცხოვრია. გული წყდება რომ სოფელს ასე ადვილად ელევიან და სახლ-კარს დაკეტილს ტოვებენ. არის შემთხვევები, როცა მიწა ყოველგვარი გაპიროვნების მიუხედავად უპატრონოდაა მიტოვებული. თვითონ კი სოფელი არ დაუტოვებია და ამით ახლა უკვე ასაკში შესულს, თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ ამ მხრივ დასანანიც არაფერი აქვს.

თუმცა, შვილის დაკარგვით გამოწვეული მწუხარე ჟამიც დასდგომია, შრომისას ათასი კაეშანი მოსძალებია, მაგრამ ფიქრის გორგალში ეს ჭარმაგი კაცი მაინც შრომას, შრომისმოყვარეობას და მშობლიურ სოფელში, თავისსავე ხალხში ცხოვრებას გადაურჩენია.



ტვიშური ცოლიკაური გადაშენების გზაზეაო და 0,2 ჰექტარი ახალშენი იჯარით აიღო მოსავლელად. პირველი მოსავალი, ჯერ-ჯერობით 200 კილოგრამი ყურძენი უკვე მიიღო. იჯარით აღებულ სასიმინდე ნაკვეთიდან ყოველთვის მაღალ მოსავალს ღებულობდა, მაგრამ გასულ წელს 300 კილოგრამი კოლმეურნეობას რომ ჩავაბარე, თავად 5 ტონამდე სიმინდი დამრჩაო,— გვითხრა.

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმიდან დეკეული გამოიყვანა ოჯახური იჯარით მოსავლელად, ორი ძროხა თავისი ჰყავს. საკარმიდამო მეურნეობიდან აბარებს ყურძენს, ხილს, ხორცი წელს 4,2 ტონა აქვს ჩაბარებული.

იმრავლოს ასეთმა ადამიანებმა, მაშინ რა გამოლევს ჩვენი მიწის ბარაქას, მარადიული სიცოცხლე და სიხარულიც დამკვიდრდება ჩვენს სოფლებში და ეკონომიკაც ჯანმრთელი გახდება.

**ჯ. მანდარია.**

## წელს ახალი ფიქრებით

მეაბრეშუმეობა ჩემი ყველაზე საყვარელი საქმეა. უკვე შუახანს გადაცილებული ქალი ვარ, მეუღლე დედა და რაც თავი მახსოვს ამ საქმისთვის არ მიღალატნია, მაშინაც \ კი, როცა თუთის ფოთლის დაავადების გამო საკვების მწვავე დეფიციტს განვიცდიდით, ყველაფერს ვაკეთებდი, რომ თავი არ შემერცხვინა.

ხოლო მას შემდეგ, რაც თუთა მომძლავრდა, დაავადება ლიკვიდირებულ იქნა და საკვები ბაზა ასე თუ ისე განმტკიცდა, 50 კილოგრამზე ნაკლები აბრეშუმის პარკი, არც ერთ წელს არ მომიწევია, ხოლო 1987-1988 წლებში შესაბამისად 62-70 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მაქვს მოწეული.

გასულ წელს 11 გრამს ვუვლიდი და 58 კილოგრამი მოვიწიე. ასე, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში მიმღებ პუნქტში 190 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მაქვს მიტანილი. ახლა შევიტყვე, რა რომ ქართულ აბრეშუმს, ჩემი და ჩემნაირი მეაბრეშუმეების მიერ მოწეულ ნედლეულს დიდი გასავალი აქვს საერთაშორისო ბაზარზე და იმას, რასაც ზეგეგმითი ნაწარმი ჰქვია შეიძლება ვალუტაზე გაიყიდოს, მეტად დამაინტერესა და ვფიქრობ, მიმდინარე წელს 100 კილოგრამზე ნაკლები აბრეშუმის პარკი არ მოვიწიო. კარგად მესმის, რომ ამით ჯერ ერთი, ჩემს წვლილს შევიტან რაიონის გეგმის შესრულებაში, ამასთან რაც მეტ პროდუქციას ვაწარმოებთ, მით მეტი დეფიციტური საქონლის შეძენის გარანტია იქნება.

**დოდო მეშველიანი,**
ჩხუტელის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე.

# პასუხსაგები დრო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ცხოვრებაში

(დასასრული).

და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კრებების, კოლმეურნეობების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მასალები, აგრეთვე ამ კრებებზე გამოთქმული წინადადებანი და კრიტიკული შენიშვნები მათზე შემდგომი რეაგირებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს დაევალა განიხილოს და 1990 წლის 1 მაისამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს დადგენილების პროექტი საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის 1989 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათშორის საწარმოებს (ორგანიზაციებს) მიეცათ რჩევა წინასწარ განიხილონ მეურნეობათა 1989 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარებისა და არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, უზრუნველყონ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა აქტიური მონაწილეობა მეურნეობის შედეგების შეჯამებისა და განხილვის კამპანიაში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა უნდა მოაწყონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა გამოსვლები საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და კრებებზე მათი განხილვის შესახებ.

კოლმეურნეობათა, სამეურნეობათშორის საწარმოთა (ორგანიზაციათა) კოლექტივების საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

(საქინფორმი).

## ადამიანები ჩვენს გვერდით

# იაროს!

იგი ყოველდღე გვხვდება ქალაქში, თმაჭაღარა, კეთილი სალმით, ყველასათვის ნაცნობი, ერთი ჩვეულებრივი მოსამსახურეთაგანი, მაგრამ ბევრმა არ იცის რა დიდი პატიოსნება, პასუხისმგებლობა, რა ულევი ფიქრია ამ კაცში, ფიქრი საქმეზე, კოლექტივზე, ყველაფერზე...

რამდენჯერ დავაპირე მასზე რაღაც მეთქვა, ერთხელ საუბარში რაღაც ენიშნა და მითხრა: მე თავი რომ გადავდო, რა შემიძლია, ფოკუსში ვართ კავშირგაბმულობის მუშაკები. პირდაპირ მრცხვენია, ადამიანებს ვეძალები, ზოგი რადიო ხაზის აღდგენას მოითხოვს, ზოგი ტელეფონის, ზოგი რას გვიჩივის და ზოგი რასო.

პრეტენზიები სამართლიანია და ვცდილობთ. დღეს პასუხისმგებლობა და დისციპლინა გახდა დეფიციტი ადამიანებში. მაგრამ სამინისტროდანაც თუ ამდენი ცარიელი სიტყვები და დაპირება შეიძლებოდა, აღარ მევონაო.

ახლა ცოტა წელში გასწორდა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსი რადიოტექნიკოსი გრიგოლ ბენდელიანი, რომ ქალაქსა და ახლომახლო სოფლებში მაინც აღადგინა რადიოხაზები. მისი ერთადერთი მონტიორით რატომ მთელ რაიონს ფეხდაფეხ არ დაივლის, დღე და ღამეს არ გაასწორებს, ოღონდაც მასალა ჰქონდეს, რომელსაც შარშანწინდელი სტიქიის შემდეგ ამაოდ ელიან.

ამ გაზაფხულს იქნებ დაგვადგეს საშველი, ნერვიული ტონით მეუბნება და არც მიკვირს: ვუშაობის 40 წლის მანძილზე არც ერთი საყვედური არ მიუღია, მადლობა კი ბევრი დაუმსახურებია; და ამ ასაკში (უკვე 60 წლისაა) როდი უნდა აუგად მოიხსენიონ.

მარტო თავის სფეროში როდია გამორჩეული პასუხისმგებლობით. გრიგოლ ბენდელიანი ცაგერის სახალხო თეატრის სცენაზე უანგაროდ იღვწის [illegible] წლიდან. მისი ძმაც, [illegible] (აწ გარდაცვლილი [illegible] და [illegible] ფიელ ბენდელიანები) [illegible] ერთგულები [illegible] მშობლიური [illegible] წინსვლის საქმეს. გრიგოლისათვის სულ პატარა ეპიზოდური როლიც იმდენს ნიშნავს, რომ ღამეებს ათენებს. ზერელობა არ უყვარს და ვერც სხვისაგან იტანს. ასეთია შინაგანად, ყველაფერი გულთან მიაქვს, ამიტომ გავთეთრდიო, ხუმრობს. ორი ქების სიგელი და ჯილდოები აქვს მიღებული სახალხო თეატრში აქტიური მონაწილეობისათვის.

ათეული წლებია რაიონის აკადემიურ გუნდში მღერის, აქაც ყოველ დაძახილზე უპრეტენზიოდ, მთელი პასუხისმგებლობით მიეშურება.

ოჯახი თავისას ითხოვს. კარგი მამობა და ბაბუობა არ არის ადვილი, ამასაც ხარჯი და ულევი გულის სითბო სჭირდება.

დადის ქალაქში ერთი ჩვეულებრივი მოსამსახურე კაცი. უყვარს თავისი საქმე, თეატრი, სიმღერა... ოჯახი და ადამიანები. ამ დიდ სიყვარულს დიდი ენერგია სჭირდება, მართლაც ამიტომ გაჭაღარავებულა ასე ერთავად.

იაროს!

მ. ძნელაძე.



სოხუმში მდებარე საცდელი ცენტრი „ბიოსი“ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გასაიდუმლოებული იყო. აქ მიმდინარე მეცნიერული ძიება-გამოკვლევები, ცდები ყველაზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოსმოსთან. „ბიოსი“ საშუალებას იძლევა ეკოლოგიურად სუფთა სტენდზე მოეწყოს ბიოლოგიურ ობიექტებზე—მაიმუნებზე, ვირთხებზე ცდები.

წარმატებით შესრულდა ცხრა კოსმოსური აპარატის „ბიოსის“ საფრენი გამოცდა. მიღებული მონაცემები გამოიყენება პრაქტიკული კოსმონავტიკის პრობლემების, ხანგრძლივადიანი ორბიტული სადგურებით ფრენის და მზის სისტემის პლანეტებისაკენ მომავალი ფრენის პრობლემათა გადასაჭრელად.

სურათზე: კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი ვლადიმერ შეინი (მარჯვნივ) და ლაბორატორიის გამგე ბორის ფედორენკო. მაიმუნ მალიშთან ერთად საცდელი სტენდისაკენ მიემართებიან.

# ბიუროზე შესვლა თავისუფალია

ბელორუსიის ქალაქ სლუცკის ყველაზე დიდი დარბაზი გახდა საჭირო იმისათვის, რომ ჩატარებულიყო პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომა. წინათ ასეთ ღონისძიებაზე მოწვეულთა წრე მეტად შეზღუდული იყო და ამიტომ პირველი მდივნის კაბინეტში ყველას ყოფნიდა ადგილი. ამიერიდან კი კომუნისტებმა გადაწყვიტეს თავიანთი მუშაობა აღარ გაასაიდუმლონ, და ბიუროზე, რომელიც საბინაო პროგრამის შესრულებას იხილავდა, ყველა მსურველი მოიწვიეს, მათ შორის უპარტიოებიც. ხოლო დადგენილების სრული ტექსტი, რომელიც ბიურომ მიიღო, საქალაქო გაზეთში გამოქვეყნდა.

—უპარტიო აქტივისტების დასწრება პარტიულ კრებებზე, პლენუმებზე, ბიუროს სხდომებზე ჩვენთან ნორმა ხდება,—ამბობს ბელორუსიის კომპარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. ლომატი.—წინათ ჩვენ ბევრ რამეს რატომღაც ვასაიდუმლოებდით. ავიღოთ თუნდაც იგივე საბინაო პრობლემა. ეს ხომ ყველას ერთნაირად გვაწუხებს, როგორც პარტიის წევრებს, ისე უპარტიოებსაც. ასე რომ, ვის და რა უნდა დავუმალოთ?

ჯერ კიდევ 1985 წელს პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე მივიღეთ რაიონში საბინაო მშენებლობის პროგრამა. ორი წლის წინათ იგი ჩვენ საფუძვლიანად გავაანალიზეთ. განხილვა მოვაწყვეთ საჯაროდ: „პირდაპირი კავშირი გავიყვანეთ“ საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო აღმასკომის ხელმძღვანელებს შორის, ჩავატარეთ თემატური პოლიტდღე. შემდეგ ისინი შრომითს კოლექტივებში გაემგზავრნენ ანგარიშის ჩასაბარებლად. დასკვნები საფუძვლად დაედო მოხსენებას პლენუმზე, რომლის თეზისებიც პრესაში გამოქვეყნდა. და აი ახალი კონტაქტები—ამჯერად საქალაქო კომიტეტის ბიუროს ღია სხდომაზე.

პარტიელებს ბევრი რამე ჰქონდათ მოსაყოლი შეკრებილთათვის, თუ 1986 წელს სლუცკში ჩაბარდა 221 ბინა, სამაგიეროდ 1989 წელს—ათასზე მეტი ბინა ჩაბარდა. ათჯერ გაიზარდა იმ ბინების მშენებლობა, რომლებიც სამეურნეო ანგარიშით შენდება. არ არის პრობლემა მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხშიც—ყოველ მსურველს შეუძლია მიიღოს ადგილი კოტეჯის ასაშენებლად. შეიქმნა სამშენებლო კოოპერატივი „სლუჩი“, რომელიც ანაზღაურებას სახელმწიფო ფასებში ღებულობს. და შემთხვევითი არ არის, რომ საქალაქო კომიტეტში შემოსულ მოქალაქეთა წერილების და მომართვების რაოდენობა საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# ხვალინდელ საქართველოზე ფიქრით

## თეორიული კონფერენცია

სწრაფად იცვლება პოლიტიკური მოვლენები საქართველოში. უაღრესად დაძაბული და მძიმე იყო გასული წელი ჩვენი ერისათვის, მაგრამ ამასთანავე ეს იყო წელი ბრძოლის, ძიების, ეროვნული სულის აღზევების.

ამ გართულებულ სიტუაციაში ყველა ქართველი ცდილობს მონახოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი, იბრძოლოს უკეთესი მერმისისათვის, მიმდინარეობს ცხარე კამათი და აზრთა შეჯახება.

სწორედ დღევანდელმა სიტუაციამ უკარნახა ცაგერის ცენტრალური ბიბლიოთეკის მუშაკებს ჩაეტარებინათ თეორიული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის“. 5 იანვარს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თავი მოიყარა ბიბლიოთეკის აქტივმა.

„სკკპ ეროვნული პოლიტიკა, ისტორია და თანამედროვეობა“—აი, თემა, რომელზეც ისაუბრა კულტურის განყოფილების გამგემ გ. ბრეგვაძემ. მან გაანალიზა თითქმის ყველა პროცესი საბჭოეთის 70 წლის მანძილზე.

„საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტი და ეროვნული საკითხი“ —ამ თემით გამოვიდა სახალხო ფრონტის წარმომადგენელი, ეკონომისტი ნ. ახვლედიანი. მომხსენებელმა ახსნა მიზეზები, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკა კატასტროფამდე მიიყვანა, მანვე ისაუბრა გართულებული ეროვნული ურთიერთობების შესახებ. დასასრულ ხაზი გაუსვა, რომ სოფლის მეურნეობაში მძიმე ეკონომიკური სიტუაციიდან გამოსვლა შეიძლება გლეხურ მეურნეობაზე გადასვლით, რესპუბლიკის სუვერენიტეტის გაფართოებითა და თითოეული ჩვენთაგანის მიზანმიმართული შრომით.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა ც. სადილიანმა წარმოადგინა თემა—„ენა, მამული, სარწმუნოება“. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ზნეობის საკითხებს, უარყოფითად შეაფასა ბევრი მანკიერი თვისება, რომელიც ფეხმოკიდებულია დღეს ჩვენში. საქართველო დღემდე ქრისტიანობამ მოიტანა და სარწმუნოებამ უნდა იხსნას იგი დღევანდელი გასაჭირისაგან. ენის, მამულისა და სარწმუნოების ერთგულება არის საქართველოს გადარჩენის საწინდარი.

მ. გოგიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოები და ცხოვრება

## სოფელი არ გვაპატიებს

დაჩქარება და რადიკალური გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, ეს არის კურსი, რომელსაც მტკიცედ და განუხრელად ატარებს პარტია, იგი ყველა საფეხურის საბჭოების მოქმედების კანონი გახდა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი და მეორე ყრილობების, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში დიდია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების როლი და ამოცანები.

სახალხო დეპუტატთა ალპანის სასოფლო საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ჰ. ხუციძე), დეპუტატები, აქტივი ხელმძღვანელობენ რა ზემდგომი ორგანოების დადგენილებებით, გარკვეულ ღონისძიებებს ატარებენ მუშაობის სტილისა და მეთოდების ახალ მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობისათვის.

საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით, დეპუტატთა ინიციატივითა და აქტივის მხარდაჭერით ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა სასოფლო გზების, სასმელი წყლების და მოსახლეობის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ სხვა საშუალებების მოწესრიგებისათვის.

მიღწეული ერთი წუთითაც არ აძლევთ დამშვიდების უფლებას საბჭოს აღმასკომს, დეპუტატებს, აქტივს. ბევრია გასაკეთებელი მშრომელთა კეთილდღეობის, მათი სოციალურ-კულტურული მომსახურების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაყენების საქმეში.

საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე იხილავენ სოფლის სოციალურ-ეკონომიკური, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კეთილმოწყობის, მოსახლეობის კულტურული, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების საკითხებს, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის და განხილვა ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი და კოლმეურნეობის გამგეობა გადამჭრელ ღონისძიებებს ვერ ატარებენ აგროუბნებში საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მოიჯარეების მიერ შესრულებისათვის. ბევრმა მოიჯარემ არ მოუარა გაპიროვნებულ სიმინდისა და ვენახის ნაკვეთებს და დაბალი მოსავალი მიიღო. ზოგიერთმა მათგანმა კოლმეურნეობას არ ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმინდი, ლობიო, ყურძენი, ჩალა, თივა.

წლების მანძილზე ავარიულ მდგომარეობაშია საბჭოს ცენტრში არსებული კომუნალური მეურნეობის №1,2,3 სახლები. ჩამოდის წვიმა. ამ შენობების პირველ სართულზე მოთავსებულ საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა ობიექტებში უსუფთაობაა. სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგი არ არის დაცული ცენტრალური ქუჩის სანაპიროებზე და თვით საბჭოს ეზოში.

სოფელ აჭარის ზედა უბნის 27 კომლი გაჭირვებას განიცდის სასმელი წყლის უქონლობის გამო. კაპიტალური რემონტი სჭირდება წყალგაყვანილობის ქსელს, რისთვისაც საჭირო თანხა აქვთ, მაგრამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებმა სამუშაოს შესრულებას თავი ვერ მოაბეს, რაზედაც მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს. სოფელ აჭარაში „ჩიქოვანის“ წყაროს წყალგაყვანილობის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა და პროექტი შედგენილია, მაგრამ მშენებლობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

ხაირმის არასრული საშუალო სკოლისა და ბაგა-ბაღის შენობაში კვლავ უმოქმედოდაა ცენტრალური გათბობის სისტემა, საბჭოს აღმასკომი კი არ ღებულობს ზომებს მისი ამოქმედებისათვის.

ამბროლაურის №10 საგზაო სამმართველომ ჯერ კიდევ 1985 წელს დაიწყო ალპანა-ხაირმის 4 კილომეტრიანი საავტომობილო გზის მშენებლობა. 1987 წელს ლაჯანურჰესის საგუბარის გაშვების შედეგად ჩამოინგრა ხაირმის გზის პირველი კილომეტრი. შედგა ამ გზის რეკონსტრუქციის ახალი პროექტი, მაგრამ 1987 წლიდან დღემდე გზის მშენებლობა არ განახლებულა, გზა კი ავარიულია და ყოველ წუთს მოსალოდნელია ავტოსაგზაო შემთხვევა. ასეთივე მდგომარეობაშია ქვედა ხაირმის გზის მშენებლობა, რომელიც დაპროექტდა 1988 წელს, მშენებლობა არ დაწყებულა, საბჭომ მეტი უნდა იზრუნოს გზების მშენებლობის დროულად დაწყებისა და კეთილმოწყობისათვის.

13 წელზე მეტია მიმდინარეობს ზოგიშის სასოფლო კლუბის მშენებლობა. ამის შესახებ რამდენჯერმე დაიწერა ჩვენს გაზეთში, კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელები იძლეოდნენ პირობას, რომ 1989 წელს შენობა სახურავში მოექცეოდა და კეთილმოეწყობოდა, მაგრამ შენობა კვლავ გადაუხურავია. ბუნებრივია, როცა კლუბი არ არის, არ ტარდება კულტმასობრივი ღონისძიებანი, კინოსეანსები და მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს.

სერიოზული ნაკლოვანებებია ალპანის სასოფლო კულტურის სახლის და სასოფლო [illegible] მუშაობაში. ალპანის სასოფლო კლუბი შეარემ[illegible] რაიმე ღონისძიება არ ტარდება. სოფლის ახალგაზრდები, მოსახლეობა უკმაყოფილოა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების სუსტი მუშაობით.

აღმასკომის მხრივ საჭირო დახმარებასა და მომთხოვნელობას მოკლებული მუდმივმოქმედი კომისიებისა და დეპუტატთა ჯგუფების მუშაობაში არის არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. აღმასკომის მდივანს აქვს მათი სამუშაო გეგმები და ჩატარებული სხდომების ოქმები, მაგრამ ისინი ქაღალდზეა გაფორმებული. საკითხების განხილვას შედეგი არ მოჰყოლია.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

დროა ალპანის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, მისმა თავმჯდომარემ ჰ. ხუციძემ, მდივანმა უ. ხეცურიანმა იგრძნონ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები და გამოვიდნენ უძრაობის მდგომარეობიდან, თავი დაანებონ ძველებურ შაბლონურ მუშაობას და მიხედონ მშრომელთა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნები კარსაა მომდგარი და თვით ამომრჩევლები იმსჯელებენ მათი მუშაობის მინუსებზე.

**ვლ. დავითულიანი.**

---

### მკითხველები გვწერენ

## როცა სოფლის სატკივარი აწუხებთ

ჩაიდერი შუა ალვის ერთ-ერთი ლამაზი კუთხეა, ანკარა წყაროებით, გრილი და შეზავებული ჰაერით, ბუნებით დაჯილდოებული ადგილი. აქ 20 ოჯახი ცხოვრობს.

გასული წლის ზაფხულში საგზაო სამმართველომ (უფროსი ო. გიორგობიანი) 2-კილომეტრიანი გზა გაიყვანა ალვის სასოფლო საბჭოდან ჩაიდერამდე. აუცილებელი იყო რკინა-ბეტონის ხიდი აგურანის ღელეზე, ისიც გააკეთეს, ალაგ-ალაგ მილებიც ჩაიწყო. ასე რომ, ჩაიდერელებმა შესანიშნავი გზა მიიღეს, სადაც ყველა ტიპის ავტომანქანა მიდიოდა.

მაგრამ გასული წლის დეკემბერში გზაზე დიდი მეწყერი ჩამოწვა, წვალებითა და შრომით გაკეთებული გზა დიდ მონაკვეთზე დაანგრია, გადაიკეტა უბანი, არც ფეხით გასასვლელი გზა ჰქონდათ.

ლასურიაშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე (რ. მუშკუდიანი) მივიდა შემთხვევის ადგილზე და დახმარება აღუთქვა მშრომელებს. სიტყვა საქმედ აქცია, კოლმეურნეობამ თანხა საგზაო სამმართველოს გადაურიცხა, სამმართველომ კვლავ დაიწყო ახალი გზის გაჭრა. დაუღალავად იშრომეს მექანიზატორებმა, მამა-შვილმა თამაზ და გოჩა სვანიძეებმა. ჩაიდერელები კი ფიზიკურად ეხმარებოდნენ, თავს დასტრიალებდნენ მექანიზატორებს.

კუთხის მცხოვრებლებმა ამოისუნთქეს, გზა აღდგა.

ეს წერილიც ჩაიდერელებმა დამაწერინეს. გაზეთის საშუალებით დიდ მადლობას უხდიან საგზაო სამმართველოს უფროსს ო. გიორგობიანს, მექანიზატორებს—თამაზ და გოჩა სვანიძეებს.

**შ. ყურაშვილი,**
გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ კორესპონდენტი.
სოფ. ალვი.

## მეპურეს ხელობას უქებენ

დღეს, როცა სოფლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ჩაბმულია სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელთათვის კვების პროდუქტების მიწოდებას, განსაკუთრებით კი მათ უზრუნველყოფას გამომცხვარი პურით.

15 წელზე მეტია ლასურიაშის პურსაცხობში მუშაობს ოთარ ქლიბაძე. იგი მთელ თავის გამოცდილებასა და ენერგიას ახმარს საქმეს. ამიტომაცაა, რომ მისი ნახელავი პური მოწონებით სარგებლობს. აქ ლასურიაშლების გარდა მეზობელი სოფლებიდანაც მოდიან პურის შესაძენად და ყველა კმაყოფილებას გამოთქვამს, უქებენ ხელობას ოთარს. იგი პურით ამარაგებს აგრეთვე ლასურიაშის სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო ბაღს.

მახაშელ მშრომელთა სახელით მადლობას ვუხდი ოთარ ქლიბაძეს, ვუსურვებ კვლავ დიდხანს ეშრომოს საქმის ასეთი სიყვარულით.

**ვ. ჯამბურიძე,**
დიდი სამამულო ომის ვეტერანი.
სოფ. მახაში.

## ექიმმა სიხარული მაჩუქა

მაშინ 5 წლისა ვიყავი. ტოლებთან ვთამაშობდი მშობლიურ სოფელ ნასპერში. ჭირკზე თითს დავდებდით, ვეჯიბრებოდით ერთმანეთს როგორ ავასწრებდით თითს მოქნეულ ნაჯახს. ეტყობა ვერ ავასწარი და თითი გვერდზე გადავარდა. ძაფისოდენა კანზე ეკიდა. ბავშვები აქეთ-იქით მიიმალნენ. მხოლოდ ჩემმა პაწია ძმამ დაუძახა დედას: ატყდა წივილ-კივილი, მაგრამ მალე მოეგენ გონს და სასწრაფოდ წამომიყვანეს ცაგერში, რაიონულ საავადმყოფოში.

ქირურგმა ალუდა ზურაბიანმა და ექთანმა თითს რომ დახედეს, ექთანმა ვეღარ მოითმინა და უთხრა: რაღას უცდით ექიმო, მოაცილეთ თითი და მერე მოვუაროთო.

ექიმმა მიუგო:

დედას არ დავწყვიტოთ გული და მივაკეროთო.

მოხდა სასწაული, ექიმის რისკი გამართლდა—თითი გამრთელდა.

მაშინ სულ პაწია ვიყავი. ახლა კი კარგად ვგრძნობ იმ დიდ სიხარულს, რაც ექიმმა მომანიჭა.

ძვირფასო რედაქციავ! მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ახალი 1990 წელი მივულოცო ექიმ ალუდა ზურაბიანს. ადამიანებისათვის კვლავ მოეტანოს სიხარული, ბედნიერება, ხალისი. მისნაირები ბევრი აღეზარდოს ჩვენს პატარა საქართველოს.

**რაფიელ ახვლედიანი,**
ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.

### გლეხური მეურნეობა: როგორია თქვენი აზრი?

## სოფლის გულისთქმა

გაზეთ „კომუნიზმის სხივის“ 28 დეკემბრის ნომერში წავიკითხეთ გიზო კოპალიანის წერილი „გლეხური მეურნეობა: როგორია თქვენი აზრი?“. ჩვენ, სოფელ ზარაგულის მცხოვრებლები, ბევრჯერ დავფიქრებულვართ, ბევრჯერ გვქონია სჯა-ბაასი სოფლის იმ სატკივარზე, რომელიც გიზო კოპალიანის წერილშია აღნიშნული, სხვა ბევრი სატკივარიც გვაწუხებს, რომელიც იმ წერილში არ არის ნახსენები, მაგრამ ვფიქრობთ, ჩვენი სოფლის ხვალინდელ დღეზე რომ იფიქროს ვინმემ და კერძოდ, ვისაც ეს ევალება, კარგად შეისწავლოს სოფლის სოციალური მდგომარეობა, მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, მივა იმ დასკვნამდე, რომ სოფელ ზარაგულის ცაგერის კოლმეურნეობაში არსებობა შეუძლებელია. ასეთ პირობებში შრომის ხალისი დაკარგულია, რადგან ძალზე დაბალია შრომის ანაზღაურება.

ჩვენთან არც იჯარამ გაამართლა, ამიტომ სოფლის ყველა მცხოვრებთა ერთსულოვანი აზრია გადავიდეთ გლეხურ მეურნეობაზე და ჩვენ თვითონ მივხედავთ გზებს, კულტსაგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაწესებულებებს, შეჩერდება მიგრაცია, აღორძინდება სოფელი.

**სოფელ ზარაგულის მშრომელები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიუროზე დასწრება თავისუფალია

(დასასრული).

მაგრამ ქალაქში პრობლემები მაინც ბევრია. საბინაო აღრიცხვაზე ჯერ კიდევ იმყოფება ხუთი ათასი ოჯახი, ამიტომაც საჭიროა უფრო მეტად მოვუმატოთ საბინაო მშენებლობის ტემპებს და ამ მიზნით ბიუროს სხდომაზე მოსულმა მცხოვრებლებმა რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტა შემოგვთავაზეს, მაგალითად, საწარმოების ან დაწესებულებების ხელმძღვანელებს დაევალოთ ისევე აგონ პასუხი სამეურნეო წესით საბინაო მშენებლობაზე, როგორც სახელმწიფო საქმეზე. ინდივიდუალურ მშენებლებს ხალისით დაეხმარონ კრედიტით, უფრო უკეთ უზრუნველყონ ისინი მასალებით, გაიყვანონ კომუნიკაციები იმ საწარმოთა ძალებით და ანგარიშზე, რომელთა მუშაკებმაც დაიწყეს ინდივიდუალური მშენებლობა. სხვათაშორის პირველი ასეთი გამოცდილება უკვე გვაქვს—მინსკის ქარხანა „კალიბრის" ფილიალმა იკისრა წყლით, სითბოთი და ელექტროენერგიით უზრუნველყოს ახალი მიკრორაიონი.

ბევრი რამ „ჩაიბეჭდეს მეხსიერებაში" საქალაქო კომიტეტის აპარატის მუშაკებმა მოქალაქეებთან მოთათბირების შემდეგ. მათ განზრახული აქვთ კვლავაც უფრო ხშირად შეხვდნენ ადამიანებს.

გულღიაობა, საჯაროობა, მოსახლეობასთან მჭიდრო კონტაქტები სულ უფრო მეტად ხდება დამახასიათებელი სლუცკის პარტიული ორგანიზაციისათვის. და ამის შემხედვარე ადამიანები უფრო აქტიურად ებმებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი წინადადებები ეხმარება ხელმძღვანელებს საკუთარ თავს შეხედონ კრიტიკულად, იპოვონ განახლების რეზერვები.

ვ. გლოდი,
საკდესის კორესპონდენტი.

## სპორტი

# მასპარეზეს ჭადრაკში

ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის მორიგ სახეობაში—ჭადრაკში.

გუნდურ ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა ლაჯანის სკოლა-ინტერნატის მოჭადრაკეთა გუნდმა, მეორე ადგილი წილად ხვდა ლასურიაშის საშუალო სკოლის გუნდს; ერთნაირი ქულები დააგროვეს და მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ბარდნალისა და ოყურეშის საშუალო სკოლების სპორტსმენებმა.

ვაჟთა შორის რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა ალექსი ბენიძემ (ლაჯანის სკოლა ინტერნატი), მეორე ადგილზეა შალვა ასათიანი (ბარდნალის საშუალო სკოლა), მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს მამუკა ყურაშვილმა და ჭაბუკა მუშკუდიანმა (ცაგერის №91 პროფტექნიკური სასწავლებელი და ოყურეშის საშუალო სკოლა).

გოგონათა შორის ერთნაირი ქულები დააგროვეს და პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს ინგა მუშკუდიანმა და ელზა ხეცურიანმა, მესამე ადგილზე გამოვიდა მეგი ირემაძე) ლაჯანის სკოლა-ინტერნატი, ლასურიაშისა და ღვირიშის საშუალო სკოლები).

დაკომპლექტდა რაიონის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი, რომელიც ამჟამად მონაწილეობს ჩოხატაურში მიმდინარე საქართველოს ზონალურ პირველობაში.

ჯ. შკუბულიანი.



ჩელიაბინსკის ოლქი. მებაღეობის კოოპერატივების სწრაფმა ზრდამ, იჯარული მიწების უბნების ათვისებამ გამოიწვია მისწრაფება ნიადაგის დასამუშავებელი მექანიზმების შესაძენად. თვითონ ცხოვრება უბიძგებს ადამიანებს მინი-ტრაქტორების შესაქმნელად.

სურათზე: საწარმოო გაერთიანება „პოლიოტ"-ის მეჩარხემ ანდრეი ვლადიმერის ძე კოჩეტკოვმა თვითონ დაამზადა მინი-ტრაქტორი, რომლითაც მუშაობს თავის საკარმიდამოში.

# საჭირო კაცი

ისუნდერსა და მახურაში ყველა იცნობს ქუჩიკო აკობიძეს. ოცდათორმეტი წელია იგი ამ სოფლებში ფოსტას დაატარებს. მხარზე ჩანთაგადაკიდებული, სამოცდაოთხი წლის კაცი ენერგიული ნაბიჯებით მიუყვება სოფლის შარაგზას და ჟურნალ-გაზეთებთან, სხვადასხვა საფოსტო გზავნილებთან ერთად სიხარულს არიგებს კარდაკარ.

1951 წლიდან იწყება ქუჩიკო აკობიძის შრომითი ბიოგრაფია. ჯერ სატყეო მეურნეობაში იმუშავა ტყის მცველად, მერე კი ფოსტალიონობა დაიწყო. ოცდათორმეტი წელი ხომ ცოტა არაა და ამ ხნის მანძილზე, არავის ახსოვს, ქუჩიკოს საყვედური დაემსახურებინოს ან ვინმეს უკმაყოფილება გამოეთქვას მისი მუშაობის გამო. უპრეტენზიო, საქმის ერთგული კაცია, განუყრელი ტყავის ჩანთით სოფელს ჩამოუვლის, ხალისიან იუმორსაც არ იშურებს სოფლელებისათვის და მისი განწყობილება მაშინვე გადაედება გარშემო მყოფთ.

უყვართ სოფელში ქუჩიკო, ერთგული სამსახურის საზღაურად პატივს სცემენ. ორი სოფლის სახელით გვინდა მადლობა გადავუხადოთ ქუჩიკოს და ვუსურვოთ დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ულევი სიხარული. დაე, არასოდეს მოკლებოდეს ჩვეული ენერგია და ხალისი სოფლის სამსახურში გაჭაღარავებულ კაცს.

ნანა აკობიძე.
სოფ. მახურა.

ხალისიანად გაატარეს ალვის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა საახალწლო დღეები.

1 იანვარს კოხტად, საზეიმოდ მორთეს დარბაზი, საკლასო ოთახები. საახალწლო ნაძვისხესთან მოიწვიეს მშობლები, პედაგოგები, ალვის სასოფლო საბჭოს თანამშრომლები.

ზეიმზე გამოვიდა ომისა და შრომის ვეტერანი არსენ ხეცურიანი. მან ბავშვებს წარმატებები უსურვა სწავლაში, მამულის სიყვარულში.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმა სკოლის დირექტორი ო. მიქაძე.

## ზამთრის არდადეგებზე

ერთმანეთს ცვლიდნენ ნორჩი დეკლამატორები სოსო, ლაშა, ნათია, დათო, ეკა, ელიზა ჯიაძეები, კ. თაგვაძე, გ. მიქაძე, ც. გოლეთიანი, ლ. ასათიანი, ტარიელ, მეგი, მარიკა, ნიკა ახვლედიანები. ბავშვებმა წარმოადგინეს ლიტერატურულ - მუსიკალური მონტაჟი—„ახალი წელი".

# ჩვენი კუთხის ტოპონიმიკა

ლეჩხუმი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ადგილებით, ფოლკლორული მასალებით, თქმულებებით, კაფიებით, ტოპონიმიკით. ჩვენს გაზეთს გათვალისწინებული აქვს მომავალში მეტი ყურადღება დაუთმოს მათ გაშუქებას. ამიტომ გთხოვთ ასეთი მასალები მოგვაწოდოთ, ამით უკეთ გავიცნობთ მშობლიური კუთხის წარსულს, მეტ პატივს მივაგებთ მის ისტორიას.

დღეს გთავაზობთ ლეჩხუმური ტოპონიმიკის რამდენიმე ნიმუშს. ველით თქვენს თანადგომას.

## ძუღური

ძუღური დღეს სახელგანთქმული ადგილია ბუნებრივი მინერალური წყლის წყალობით, რომელსაც ძალიან ბევრი სამკურნალო თვისება აქვს.

აი, როგორ დარქმევია სახელად ამ ადგილს ძუღური. ვინმე ლეშკაშელს, გელოვანების მწყემსს, ღორები ჰყოლია აყვანილი იქ თურმე. ღამესაც ათევდახოლმე კარავში. ერთხელ ძუ ღორი დაკარგვია, შეწუხებულა მწყემსი და წასულა საძებნელად. ბოლოს უპოვნია ხევში გოჭებიანი ღორი. იქვე დამჯდარა დაღლილი და ქვაში ამომავალი წყალი დაულევია. წყალი მჟავე გემოსი ყოფილა. მწყემსს ღორები თავისი გოჭებით მიუყვანია ბატონისათვის. მოუხსენებია: „ძუ ღორი რომ ვნახე, იქინე ბჟავე წყალი არისო". ბატონს შეუმოწმებია წყალი და კმაყოფილი დარჩენილა. იმ ადგილისათვის კი ძუ ღორი, ე. ი. ძუღური უწოდებიათ.

მთქმელი გ. ლეშკაშელი.

## ლაჯანური

მდინარე ლაჯანური სწრაფი და კალაპოტგანიერია. ადრეულ წლებში მისი კალაპოტი უფრო ფართო ყოფილა. მდინარის ახლოს თვალსაჩინო ადგილზე ცხოვრობდნენ გელოვანები (ერთი სახლი ამჟამად სრულყოფილად არის დარჩენილი).

ერთ-ერთ გელოვანს ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, სახელად ნური. ნური მამაცი და გაბედული ვაჟი ყოფილა. ერთხელ მამას უთქვამს ნურისათვის—თუ ამ მდინარეს ლაჯს გადააწვდენ (ნაბიჯს, ე. ი. გადახტომით) გაღმა მხარეს მთლიანად შენ გიბოძებო. მართლაც, ნურის დაუკრავს ერთი ფეხი ნაპირზე და თვალის დახამხამებაში მეორე ნაპირზე აღმოჩენილა. გაიმარჯვა, ლაჯა ნურიმო, დაუძახიათ იქვე მყოფთ.

ნურის საპატივცემულოდ მდინარისათვის ლაჯანური დაურქმევიათ, ხოლო ბოძებული ტერიტორიისათვის—ლაჯანა.

მთქმელი შალვა გოგებაშვილი.

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ორბელის საშუალო სკოლის დირექტორმა

დ. ბურჯანაძემ.

# განცხადება

ცაგერის რაიონულ სტამბაში გვჭირდება ლინოტიპისტი (სტრიქონების ჩამომსხმელ-მემანქანე). მივიღებთ საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდას, რომელსაც შევასწავლით ლინოტიპისტის სპეციალობას.

დაწვრილებითი პირობები შეგიძლიათ გაიგოთ ყოველდღე, რაიონულ სტამბის დირექციაში.

ცაგერის რაიონული სტამბის დირექცია.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

გაზეთ „კომუნიზმის სხივის" რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლილი კვირკაშვილს დისშვილიშვილის

დაზმირ ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

თამრიკო, ჯიბილო შკუბულიანები, ლალი, სამსონ კანაჩაძეები, მიშა ვენედი, ნათელა კვირკაშვილები, მერაბი, ირინე ჩაფრავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლია ფოჩხიძე.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,
გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4441

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.